ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2020 წლის
საანგარიშო
პერიოდი

ევროპის უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში

2020 წლის საანგარიშო პერიოდი

აღწერა: წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშს 2020 წლის საანგარიშო პერიოდისთვის. მონიტორინგის ფარგლებში სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ გაანალიზებული იქნა წლის განმავლობაში განხორციელებული ოთხი კვარტალური მონიტორინგის შედეგები, მოხდა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შედარება სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ შესრულების ინდიკატორებთან და შესაბამისად განისაზღვრა თითოეული ღონისძიების განხორციელების სავარაუდო სტატუსი. აღნიშნული პროცესის მონტორინგის ჯგუფმა განახორციელა შედეგების შეფასება და მოახდინა სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ღონისძიებების შესრულების სტატუსის იდენტიფიცირება ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

შესავალი: მიმდინარე საანგარიშო პერიოდი დაემთხვა კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულ კრიზისს და შესაბამისად უნივერსიტეტს ფუნქციონირება უწევდა ფორს - მაჟორულ ვითარებაში. კერძოდ, საჭირო გახდა ერთი მხრივ სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვა, ასევე შეიცვალა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის სტილი და განრიგი. ასევე, საჭირო გახდა ცალკეული სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობის ზონაში მოქცეული აქტივობების მოდიფიცირება ახალი გამოწვევების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები **(ფაკულტეტების ადმინისტრაცია, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, საგამოცდო ცენტრი)** ისევე, როგორც ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრი, მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოირჩეოდნენ სამუშაო პროცესში ჩართულობის მაღალი დონით. მათ შეძლეს, როგორც შესრულებული სამუშაოს უწყვეტობის, ისე - შესრულების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლოა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის გამოწვევად რჩება სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა. აღნიშნული მიმართულება საჭიროებს გაძლიერებას. გამონაკლისს წარმოადგენს მედიცინის ფაკულტეტი, რომლის კლინიკური კვლევების შედეგები გაიზიარა არაერთმა სამედიცინო დაწესებულებამ.

პანდემიის ადაპტაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებს ცხადყოფს კვარტალური მონიტორინგის შედეგები. მაგალითად, საანგარიშო პერიოდის პირველ კვარტალში

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ჯამური მაჩვენებელი 54%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი კვარტლების მიხედვით გრადუალურად იზრდება, და საბოლოო შესრულების მაჩვენებელი 65-67%-ის ფარგლებში მერყეობს.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სამოქმედო გეგმის კვარტლური მონიტორინგების პროცესში გამოიკვეთა გარემოებები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა 2021 წლის საანგარიშო პერიოდის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, კერძოდ:

1. სამოქმედო გეგმის სტრუქტურაში შევიდა ცვლილებები და თითოეული აქტივობისთვის (სადაც ეს შესაძლებელია) შემუშავდა მისი განხორციელების მოსალოდნელი შედეგი, როგორც ერთგვარი სამიზნე ნიშნული, რაც მოგვცემს საშუალებას შევაფასოთ და დავაფიქსიროთ არამხოლოდ აქტივობის შესრულების მომენტი, არამედ შეფასდეს მისი ეფექტურობის ხარისხიც;

2. მოდიფიცირდა პირველი სტრატეგიული მიმართულების ამოცანების ღონისძიებები, კერძოდ, კი სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის პროცესი, რაც მეტწილად გულისხმობს ადგილობრივ სტუდენტთა და აბიტურიენტთა მოზიდვას გახდა მეტად ინკლუზიური, აღნიშნული მიმართულებით გაიზარდა ფაკულტეტების და სხვა რელევანტური სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა და მათი სინერგიის ხარისხი.

3. გადაიხედა სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები და დაიგეგმა აღნიშნული მიმართულების ეტაპობრივად გაძლიერების ღონისძიებები.

4. პროგრამების განვითარების, შექმნის და განხორციელების, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვისას მეტად გამოიკვეთა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებლობა, გაიზარდა მისი, როგორც ხარისხის მაკონტროლებელი ძირითადი სტრუქტურული ერთეულის როლი. (აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ ერთვებოდა სასწავლო პროცესის ხარისხის კონტროლის პროცესში, ან არ იყენებდა ხარისხის კონტროლის მის ხელთ არსებულ მექანიზმებს, უბრალოდ მისი, როგორც ამ მიმართულებით წამყვანი სტრუქტურული ერთეულის როლი მეტად გამოიკვეთა სამუშაო პროცესში).

5. საანგარიშო პერიოდში დადგა არაერთი ღონისძიების მიზანშეწონილობის გადახედვის აუცილებლობა, აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია, სტრუქტურულმა ერთეულებმა მეტი გულისხმიერება გამოიჩინონ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში საანგარიშო პერიოდის დასაწყისში.

6. მონიტორინგის პერიოდში ასევე გამოვლინდა ცალკეული ღონისძიებების ინდიკატორების არასწორი აღქმის შემთხვევები, რაც ასევე მიუთითებს კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის არასათანადო ჩართულობაზე სამუშაო პროცესში.

მონიტორინგის შედეგების მოკლე მიმოხილვა სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით

სტრატეგიული მიმართულება 1.

ბრენდის განვითარება და ბაზარზე დამკვიდრება

ამოცანა 1. ბრენდის განვითარება და ბაზარზე დამკვიდრება - **ნაწილობრივ შესრულდა**

ამოცანა 2. ადგილობრივ სტუდენტთა და აბიტურიენტთა მოზიდვა - **ნაწილობრივ შესრულდა**

ამოცანა 3. საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა - **ნაწილობრივ შესრულდა**

ამოცანა 4. სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება - **ნაწილობრივ შესრულდა**

სტრატეგიული მიმართულება 2.

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება

ამოცანა 1. 2019 წელს აკრედიტებული პროგრამების განახლება, ხარისხის განვითარების ცენტრის რეკომენდაციათა შესაბამისად - **შესრულებულია**

ამოცანა 2. მიმდინარე პროგრამების რე აკრედიტაციის უზრუნველყოფა - **ნაწილობრივ შესრულდა**

ამოცანა 3. მიმდინარე პროგრამების განახლება აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად - **ნაწილობრივ შესრულდა**

ამოცანა 4. ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა - **არ შესრულდა;**

ამოცანა 5. პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების შემუშავება და დანერგვა - **ნაწილობრივ შესრულდა;**

ამოცანა 6. პროგრამების მიხედვით ახალი და ინოვაციური სასწავლო კურსების განვითარება - **ნაწილობრივ შესრულდა;**

ამოცანა 7. სწავლებაში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება - **ნაწილობრივ შესრულდა.**

სტრატეგიული მიმართულება 3.

სასწავლო პროცესის განხორციელებისა და ხარისხის ამაღლება, სწავლება - სწავლისა და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა

ამოცანა 1. სწავლა - სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაცია - **ნაწილობრივ შესრულდა;**

ამოცანა 2. სასწავლო პრაქტიკის ცენტრების და ლაბორატორიების დაფუძნება და არსებულის განვითარება - **ნაწილობრივ შესრულდა;**

ამოცანა 3. გარე პრაქტიკის გაძლიერება - **ნაწილობრივ შესრულდა.**

ამოცანა 4. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლება, დარღვევების გამოვლენა და პრევენციული მექანიზმების დანერგვა - **შესრულებულია.**

სტრატეგიული მიმართულება 4.

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება

ამოცანა 1. უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის შეფასება და პრიორიტეტების განსაზღვრა - **შესრულებულია;**

ამოცანა 2. სამართლის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია - **ნაწილობრივ შესრულდა;**

ამოცანა 3. გლობალიზაციის, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია - **ნაწილობრივ შესრულდა;**

ამოცანა 4. ინტერ დისციპლინური კვლევითი გრანტების ინიცირება - **ვერ შესრულდა;**

ამოცანა 5. ინდივიდუალური კვლევითი გრანტების ინიცირება **- შესრულებულია;**

ამოცანა 6. კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისება - **არ შესრულებულა;**

ამოცანა 7. მედიცინის მიმართულებით სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განვითარება - **ნაწილობრივ შესრულდა;**

ამოცანა 8. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განვითარება - **ნაწილობრივ შესრულდა.**

სტრატეგიული მიმართულება 5.

სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება

ამოცანა 1. სტუდენტთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა - **შესრულებულია;**

ამოცანა 2. სტუდენტური სერვისების განვითარება - **ნაწილობრივ შესრულდა;**

ამოცანა 3. სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერა - **შესრულებულია;**

ამოცანა 4. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა - **შესრულებულია;**

ამოცანა 5. ექსტრა კურიკულარული საგანმანათლებლო აქტივობების გაძლიერება - **ვერ შესრულდა;**

ამოცანა 6. სტუდენტთა სპორტული და კულტურული აქტივობების მხარდაჭერა - **ვერ შესრულდა;**

ამოცანა 7. საუნივერსიტეტო სივრცის ადაპტირება სტუდენტთა საჭიროებებთან - **შესრულებულია.**

სტრატეგიული მიმართულება 6.

უნივერსიტეტის რესურსების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურობის ამაღლება

ამოცანა 1. ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწა - **შესრულებულია;**

ამოცანა 2. სტრატეგიული მიმართულებით ანალიტიკური შესაძლებლობების ზრდა - **შესრულებულია.**

ამოცანა 3. ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა - **შესრულებულია;**

ამოცანა 4. მატერიალური რესურსების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა - **შესრულებულია;**

ამოცანა 5. უნივერსიტეტის ციფრული ინფრასტრუქტურის განახლება - **შესრულებულია;**

ამოცანა 6. უნივერსიტეტის უწყვეტი ავტორიზაციის უზრუნველყოფა - **შესრულებულია.**

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა კონკრეტული ამოცანების შესრულების სტატუსი წარედგინა მმართველ საბჭოს. ,,შპს ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შედეგებზე რეაგირების მექანიზმების“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად

მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარდგენილი წლიური ანგარიშის საფუძველზე, ჯგუფის რეკომენდაციების/რჩევების გათვალისწინებით, მმართველმა საბჭომ შესაძლოა მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები:

ა) სტრატეგიული განვითარების ან/და სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების შესახებ;

ბ) ანგარიშში ასახული შეუსრულებელი ღონისძიებების მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაში დამატების შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ არ არის დაკარგული შესრულების ინტერესი);

გ) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს დაავალოს წლიურ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციის შესრულება, განუსაზღვროს შესრულების ვადა და შესრულების მონიტორინგი დაავალოს სტრატეგიული განვითარების სამსახურს.

მმართველმა საბჭომ რიგი შეუსრულებელი ღონისძიებების მიმართ გასცა რეკომენდაცია მათი შესრულების შესახებ და სტრატეგიული განვითარების სამსახურს დაავალა შესრულების მონიტორინგი.

მიზანშეწონილად ჩაითვალა პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მხრიდან შემდეგი ღონისძიებების შესრულება:

ა) ახალი ვებგვერდის დამზადების და ამოქმედების პროცესის დასრულება - არაუგვიანეს 2021 წლის ივნისისა;

ბ) მოქნილი სააპლიკაციო სისტემის შექმნა უცხოელი სტუდენტებისთვის - შესრულების ვადა დამოკიდებულია ახალი ვებგევრდის დამზადებაზე;

გ) პროექტის "ჩემი იდეა ჩემს სკოლას" დასრულება - არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა;

დ) ამერიკულ ან ევროპულ უნივერსიტეტთან ერთად ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავება - 2021 წლის დეკემბერი;

ე) საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი საგნების რაოდენობის ზრდა - 2021 წლის სექტემბერი;

ვ) ფსიქოლოგიის სადიაგნოსტიკო ცენტრის დაფუძნება და მის საქმიანობაში სტუდენტების ჩართვა - 2021 წლის სექტემბერი;

ზ) სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის სტიმულირება - 2021 წლის დეკემბერი;

თ) მედიცინის მიმართულებით მაღალი კურსის სტუდენტთა მენტორობის ხელშეწყობა - 2021 აგვისტო (შუალედური შედეგი) - 2021 დეკემბერი;

ი) მედიცინის მიმართულების სტუდენტთა ფასილიტატორობის ხელშეწყობა სწავლების პროცესში - 2021 აგვისტო (შუალედური შედეგი) - 2021 დეკემბერი;

კ) მედიცინის ფაკულტეტზე „ჟურნალის მოყვარულთა კლუბის“ დაფუძნება - 2021 სექტემბერი.

დასკვნა:

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შესაძლოა დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტმა მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, შეძლო მდგრადობის შენარჩუნება და ცალკეული მიმართულებებით მიაღწია წარმატებას.

უნივერსიტეტის ძირითად გამოწვევად რჩება სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმების დახვეწა და ამ მიმართულებით სტრუქტურული ერთეულების სინერგიის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით დამატებითი ზომების მიღება, რამდენადაც დღეს არსებული ვითარება ტოვებს მნიშვნელოვან სივრცეს გაუმჯობესებისთვის.

უნივერსიტეტის ძლიერ მხარედ შესაძლოა მიჩნეული იქნას ადმინისტრაციული რგოლი, რომელთაც შეძლეს უნივერსიტეტის ადაპტირება არსებულ გამოწვევებთან.

აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტმა პანდემიის დაწყებიდან დღემდე არამხოლოდ შეძლო არსებული კადრების შენარჩუნება, არამედ გამოიკვეთა ახალი კადრების მოზიდვის აუცილებლობაც, რაც ცალსახად მეტყველებს უნივერსიტეტის ინსტიტუციურ მდგრადობაზე.